წინასაიუბილეო დღეთა მძლავრი მაჯისცემა

საბჭოთა საქართველო დღესასწაულის წინ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 მაისი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 104 (15014)

ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს!
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია!
ეს ჩუქურთმა ჩამოთლილი ინახად
თავისუფალ საქართველოს ხვედრია.

იოსებ გრიფაშვილი.

50

კომუნისტების და უპარტიოების ურდვევი ბლოკის კანდიდატები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე, ქალაქ თბილისის № 39 300 არაგველის საარჩევნო ოლქის მუშების, მოსამსახურეების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე თბილისის „ელექტროავტომატის“ ქარხნის კლუბში.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დ. თომაძემ.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის ცხოვრებაში.

ტრიბუნაზეა „ელექტროავტომატის“ ქარხნის ზეინკალი ა. სიდამონიძე. იგი ამბობს, რომ ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი**, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მთელი ცხოვრება, აღნიშნა შემდეგ მან, ეს არის ლენინის, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, ხალხის ინტერესებისადმი სამსახურის მკაფიო მაგალითი, ჩვენი ქარხნის კოლექტივმა ამავე ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა „ელექტროავტომატის“ ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი **გალაქტიონის-ძე წულაია**. მას ნათლად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა, და მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. არის მოწინავე წარმოების მუშაკი და საწარმოო დავალებებს 135-145 პროცენტით ასრულებს. იგი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. აგრეთვე, როგორც რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თათბირზე გამოვიდნენ ამ საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ მთელ რიგ საწარმოთა წარმომადგენლები: ი. კაკაბაძე, გ. კობაძე და სხვები, რომლებმა, თავიანთი კოლექტივების სახელით გულმხურვალედ დაუჭირეს მხარი წინადადებას, რომ ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ბუჩიძე.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს, რომ მხარი დაუჭირონ ოლქის საწარმოთა კოლექტივებს, რომლებმაც წინადადება წამოაყენეს ქალაქ თბილისის № 39 300 არაგველის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და „ელექტროავტომატის“ ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. გ. წულაია.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კენჭი იყაროს ამ ოლქში.

თათბირმა მიიღო მოწოდება ოლქის ყველა ამომრჩეველისადმი და აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

საღამოს ალაფაულოდ მოურთავთ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კლუბი, სადაც შეიკრიბა თავის წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე ქალაქ თბილისის № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ასობით წარმომადგენელი.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ა. ბუჩიძემ.

სიტყვა ეძლევა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის დამკვრელს, სოციალისტური შრომის გმირს ვ. პაპიაშვილს. მან შეკრებილთ გააცნო ამ საწარმოსა და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივების წინასაარჩევნო კრებების დადგენილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე**. ორატორმა ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობაზე, შეეხო წარმატებებს, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს მისი ხელმძღვანელობით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მან მოუწოდა თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის კანდიდატურას.

ტრიბუნაზე ადიან თბილისის № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი ს. ნაფეტვარიძე, სახეზი ჩარხების ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ა. ბექაური, ახალგაზრდა ამომრჩეველი დ. ჩიტაური, რომლებმაც დიდი გულთბილობითა და გულითადობით ილაპარაკეს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეზე, დაახასიათეს იგი როგორც პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი. თათბირზე გამოსულმა ყველა ორატორმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, როგორც ყოველთვის, ღირსეულად გაამართლებს ხალხის მაღალ ნდობას.

ქალაქ თბილისის № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება მოიწონონ გადაწყვეტილება, რომ ამ საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს, რომ კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქში.

თათბირმა მიიღო მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩეველისადმი, აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები. (საქდესი).

საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

გადაეცათ მაღალი ჯილდოები

6 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მცირე დარბაზში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაკთა დიდ ჯგუფს მერვე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის გადაეცა მთავრობის მაღალი ჯილდოები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების და ლენინის ორდენისა და ოქროს medlis „ნამგალისა და უროს“ გადაცემის შესახებ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაპაძემ.

ჯილდოები გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მაღალი ჯილდოები მიიღეს გარდაბნის რაიონის გარდაბნის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა გ. ალიევამ, ხიდისალის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა მ. ღვედაშვილმა, ხაშურის რაიონის სოფელ სატევის კოლმეურნეობის კოლმეურნემ მ. ღონღლაძემ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კოლმეურნემ ე. ქარდავამ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაის თესვა-მოყვანის მექანიზაციის საპრობლემო სამეცნიერო-საკვლევი საკონსტრუქტორო ლაბორატორიის უფროსმა შ. კერესელიძემ, წოელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კობაიძემ, მახარაძის რაიონის ს. მ. კიროვის სახელობის ლესთოურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მუშამ ლ. კოსენკომ, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარემ ა. კუტალიამ, ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ი. ნასყიდაშვილმა, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის მწველავმა ე. პაპიაშვილმა, ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნ. სარჯველაძემ, „კოლხიდმშენის“ ტრესტის № 4 მექანიზაციის სპეციალიზებული სამმართველოს ბულდოზერის მემანქანემ გ. სიმონიანმა, ზესტაფონის რაიონის სოფელ მერეკ ხვრილის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნემ გ. თუთარაშვილმა, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ფიოლიძემ.

შავი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ფიქალის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ქსოვილის, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, შეკერილი ნაწარმისა და მსუბუქი მრეწველობის სხვა პროდუქციის წარმოების განვითარებაში დიდი შემოქმედებითი წვლილისა და მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის ჯილდოები — ლენინის ორდენი, ოქროს medlis „ნამგალი და ურო“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები მიიღეს აგრეთვე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის უფროსმა მდნობელმა გ. ნანიტაშვილმა, „საქქვანახშირის“ კომბინატის № 2 შახტის სამთო გვირაბეშვილმა, „საქქვანახშირის“ კომბინატის „ზესტაფონის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გადამკერავმა გ. ჭეხაშვილმა.

დაჯილდოებულთა სახელით ა. კობაიძემ, შ. კერესელიძემ და გ. ჭეხაშვილმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, აღუთქვეს, რომ კვლავ ვეც მთელ თავიანთ ენერგიასა და ცოდნას მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს, თავიანთი შრომით ახალეს ეგენ სამშობლოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით დაჯილდოებულთ გულთბილად მიულოცა ვ. ფრანა საბჭოს მდივანმა ზ. კვაპაძემ. მან გამოთქვა რწმენა, რომ მაღალი ჯილდოს პასუხად მეაბაბაძემ. მან გამოთქვა რწმენა, რომ მაღალი ჯილდოს პასუხად მომავალში ისინი გაამრავლებენ შრომითს წარმატებებს, ღირსეულად წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ბაბუაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლელაშვილი. (საქდესი).

საიუბილეოდ



ახალ ტრასაზე

თბილისელი გვიროაბმშენებლები უკვე მორჩნენ ძირითად სამუშაოებს მეტროპოლიტენის ახალ უბანზე სადგურ „800 არაგველიდან“ „სამგორამდე“. რამდენიმე დღეც, და პირველ მგზავრებს მიიღებენ ახალი სადგურები „ისანი“ და „სამგორი“. მშენებლები უკანასკნელ მოსაპირკეთებელ სამუშაოებს ამთავრებენ. გუშინ გვიან ღამით ახალ ტრასაზე გაიარა პირველმა საცდელმა მატარებელმა. მეტრომშენებლებმა პირველი გამოცდა წარმატებით ჩაიბარეს. ახალი ტრასის გახსნა საიუბილეო დღეებში დიდი საჩუქარია დედაქალაქის მშრომელებისათვის. **სურათზე:** პირველი საცდელი მატარებელი სადგურ „სამგორში“.

ფოტო ვ. ბენგიშვილისა.

მიღება კრემლში

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა მ. შუმანს

6 მაისს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. **კოსიგინმა** მიიღო საბჭოთა მთავრობის მოწვეულთ მოსკოვში მყოფი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **მორის შუმანი** და ესაუბრა მას.

საუბრის დროს, რომელშაც მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს ორივე ქვეყნისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. (საკდესი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის აეროვაგზლის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან და საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მშენები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბერიძე ვლადიმერ გიორგის-ძე — ინსტიტუტ „თბილზნიეპის“ მთავარი სპეციალისტი, პროექტის ავტორი.
2. **გოჩიაშვილი** ოთარ ტერენტის-ძე — ტრესტ „საქმარმარჯოს“ ეკლარის ქვის საკარიერო სამმართველოს მხერხავი.
3. **კურტანიძე** ბეჟლარ ზაქარიას-ძე — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.
4. **პლიანიდი** ივანე ილიას-ძე — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს ქვის მთლელი.
5. **ხელიხოვი** ვასილ ივანეს-ძე — ტრესტ „იუტტრანსტეხმონტაჟის“ „ვოლგა-22“-ის უფროსი.
6. **ტაგანაშვილი** ალექსანდრე ვასილის-ძე — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს მღებავთა ბრიგადირი.
7. **ხორინი** ნიკოლოზ ანდრიასძე — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს მლესავი.
8. **წამალაშვილი** ჯემალ აკაკის-ძე — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს მშენებლობის ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი, 1971 წლის 6 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თბილისის აეროვაგზლის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მიენიჭოთ „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდება:

1. ქარქუსაშვილს ვიქტორ ილარიონის-ძეს — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს კალატოზს.
2. სკიბას დმიტრი ნიკიტას-ძეს — ტრესტ „ზაკტრანსსტროის № 131 სამშენებლო სამმართველოს ზეინკალს.
3. ტაგანაშვილს ვიქტორ გიორგის-ძეს — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი, 1971 წლის 6 მაისი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

ნარმოების კულტურის საიუბილეო საზოგადოებრივი დათვალიერების გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში საქართველოს სს რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავი წარმოების კულტურის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგები და აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ემზადებიან რა ნახევარი საუკუნის იუბილესათვის, აქტიურად ჩაებნენ დათვალიერებაში.

მათ შეიტანეს და დანერგეს ბევრი წინადადება, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების შემდგომ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, ტერიტორიის კეთილმოწყობას, მომუშავეთა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

დათვალიერების პერიოდში მარტო რესპუბლიკის მანქანათსაშენებელ საწარმოებში შეტანილია ორი ათასი წინადადება, წარმოებაში დანერგილი და საექსპლოატაციოდ გადაცემულია 11 მექანიზებული ნაკადური ხაზი, დამონტაჟებული და რეკონსტრუირებულია 167 საგენტოლაციო სისტემა და დანადგარი, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე 85 პროცენტამდე ამაღლდა. „საქქვანახშირის“ კომბინატის შახტებსა და საწარმოებში შეტანილია 3.000-მდე წინადადება. ხოთ მახტში დანერგილია მასივში ქვანახშირის კომპლექსური გაუტგენრება და დატენიანება, გაყვანილია რამდენიმე კილომეტრი ხანძარსაწინააღმდეგო-სარწყავი მილსადენები.

წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლების ღონისძიებებმა ხელი შეუწყეს სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, გაადიდეს შრომის უსაშიშროება.

წარმოების კულტურის საიუბილეო საზოგადოებრივი დათვალიერების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო დიპლომებით დაჯილდოვდნენ:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სოხუმის ლუდისა და ხილის წყლების სათაო ქარხნის, ბიჭვინთის სადაბო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი და გულრიფშის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული სამმართველოს კოლექტივები.

აჭარის ასს რესპუბლიკაში — აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ბათუმის მექანიკური ქარხნის, აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბათუმის № 5 ტექნიკური მომსახურების სადგურისა და აჭარის ასსრ კომუნ[illegible] მეურნეობის სამინისტროს ქობულეთის ქალაქის სანიტარული გაწმენდის ავტოგარაჟის კოლექტივები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — ცხინვალის წყალსადენის სამმართველოსა და ადგილობრივი მრეწველობის გენყოფილების საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივები.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — ტყვარის საშენ მასალათა ქარხნის, ხაშურისა და მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის კომბინატების კოლექტივები.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით — თბილისის № 2651 სატვირთო ავტოკოლონის, ქუთაისის № 2657 სამგზავრო ავტოკოლონის, თელავის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და გუდაუთის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოს № 1 ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკისა და კომბინატ „თბილქსპრესის“, ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოს საყოფაცხოვრებო სახლის კოლექტივები.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაზით — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალური სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, „თბილწყალსადენის“ სამმართველოსა და თბილმეურნეობის სამმართველოს კოლექტივები.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით — ქუთაისის სასწავლო წარმოებისა და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მცხეთის სასწავლო-სამრეწველო საწარმოს კოლექტივები.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხაზით — № 14 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოსა და № 41 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ხაზით — საწარმოო სამმართველო „აჭარგაზისა“ და № 1 სარაიონთაშორისო სამონტაჟო-საექსპლოატაციო ტრესტ „რუსთავგაზის“ კოლექტივები.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის ტყავსაგალანტერეო ფაბრიკის, ქუთაისის № 1 სამკერვალო გაერთიანების, წულუკიძის ამრეშუმძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკისა და სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივები.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თბილისის № 6 პურის ქარხნის, წულუკიძისა და ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკების, აფხაზეთის პურის კომბინატის, ბათუმიდის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნისა და ქობულეთის ტანგის ზეთის ქარხნის კოლექტივები.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით — თბილისის ორგანულ-თერაპიული პრეპარატების, ბათუმის რძის ქარხნისა და გაგრის ხორცის კომბინატის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილმოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის ხაზით — ახმეტის საკონსერვო ქარხნისა და სამტრედიის საკონსერვო კომბინატის კოლექტივები.

„სამეფეზმრეწვის“ სამმართველოს ხაზით — თბილისის ფეიზის ქარხნისა და სახელმწიფო თიკზეჭერის ბათუმის ბაზის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით — „მშენინდუსტრიის“ ტრესტის, „მთავართბილმშენის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს, № 9 საერთო-სამშენებლო ტრესტისა და „ბიჭვინთმშენის“ საერთო-სამშენებლო ტრესტის კოლექტივები.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით — ჩხარის ფილის ქარხნისა და სახეზრის საყალიბო ქვიშის მაღაროთასამმართველოს კოლექტივები.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით — № 1 ტრესტის № 1 მოძრავი მექანიზებული კოლონისა და ყვარლის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს ხაზით — „საქმექანმონტაჟის“ ტრესტის სპეციალიზებული ასამშენებელ-გასაყოფი სამმართველოს კოლექტივი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის, ყვარლის რაიონის სოფელ ფილდის, თერჯოლის რაიონის სოფელ თერჯოლის ლენინის სახელობისა და მახარაძის რაიო-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ნარმოების კულტურის საუბილეო საზოგადოებრივი დათვალიერების გამარჯვებული

(დასასრული).

წინ სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხაზით — სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის, ალგეთის მევენახეობის, ინგირის ჩაისა და ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით — „წყალშრენის“ ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოსა და გეოფიზიკური ინსტიტუტების სარემონტო სახელოსნოს კოლექტივები.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ხაზით — ფოთის № 2 წისქვილკომბინატისა და ჯინვალის პუბრპროდუქტების ბაზის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ ხაზით — „საქსოფლტექნიკის“ დიდმის საცდელ-მექანიკური ქარხნისა და მარნეულის სარეალიზაციო ბაზის კოლექტივები.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამშუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — სამტრედიის ხისდამშუშავებელი კომბინატის, მარეულისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკისა და ბათუმის ბამბუკის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივები.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით — რესპუბლიკური რადიოცენტრისა და რესპუბლიკური რადიოსადგურის სადგურის კოლექტივები.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით — საქხორეკლამეთვეზიჭრობის თბილისის მაცივრისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს თბილისის № 1 კვებავაჭრობის კოლექტივები.

ეკონომიკურის ხაზით — კასპის რიბაკოვკავშირის ბურკომბინატისა და დამზადების მთავარი სამმართველოს მცხეთის კვების კომბინატის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით — თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბისა და ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით — საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის კოლექტივი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით — აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისა და ზოოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ხაზით — „საქლითონმომარაგებგაჯა ლების“ სამმართველოს ქუთაისის ლითონშაბაზისა და გამოთვლითი ცენტრის კოლექტივები.

სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს ხაზით — სოხუმის გაერთიანებული ავიაქვეგანაყოფის კოლექტივი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გაყიდვის მთავარი სამმართველოს ხაზით — გურჯაანის ნავთობბაზის კოლექტივი.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს „საქქვანახშირის“ კომბინატის ხაზით — ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის, ტყვარჩელის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკისა და ტყვარჩელის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივები.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოთა ხაზით — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის დიმიტროვის სახელობის, კალინინის სახელობისა და „ახალი ითხვისის“ მაღაროთასამმართველოების კოლექტივები.

ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ხაზით — რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის კოლექტივი.

ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა ხაზით — თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის, ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხნისა და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივები.

მანქანათმშენებელი მრეწველობის საწარმოთა ხაზით — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი, სახეხი ჩარხებისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნების კოლექტივები.

სხვადასხვა საკავშირო სამინისტროსა და უწყების საწარმოთა ხაზით — თბილისის ქარხანა „მაგნეტოფონის“, გამთბეველების ქარხნის, სპორტული საზოგადოება „დინამოს“ შეკერილი სპორტული ნაწარმის ფაბრიკისა და ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის „ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს № 6 ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივები. (საქდესი).

ხალხის რჩეულნი

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება გრძელდება

საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი **ლევან მიხეილის-ძე ისაკაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასპინძის რაიონის № 117 ასპინძის საარჩევნო ოლქში დასახელეს წინასაარჩევნო კრებაზე სოფელ ძველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

ახალქალაქის რაიონის კოჩიოის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი **ნაპოლეონ კარაპეტის-ძე არაქელიანი** ამ საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დასახელეს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის რაიონის № 121 ბარალეთის საარჩევნო ოლქში.

გიმართა ბოგდანოვკის რაიონის განძნის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. კრებამ დაადგინა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოგდანოვკის რაიონის № 126 განძნის საარჩევნო ოლქში დასახელონ საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი **ბარტეგმოს აპეტნაკის-ძე აბგარიანი.**

დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის კოლმეურნეობაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვეტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დმანისის რაიონის № 127 გომარეთის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი **ნიკოლოზ მიხეილის-ძე მგელიაშვილი.**

საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა საგარეჯოს რაიონის № 173 პატარძეულის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი **ოთარ გიორგის-ძე საბაშვილი.**

სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის № 153 მეტალურგთა საარჩევნო ოლქში დასახელონ ქარხნის დირექტორი **ოთარ ნიკოლოზის-ძე სულაძე.**

რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **რუსუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსადენადგი სამაჭრის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის № 154 კომკავშირელთა საარჩევნო ოლქში.

თიანეთის რაიონის № 162 თიანეთის საარჩევნო ოლქში სოფელ ზარიძეების კოლმეურნეობის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველი მდივანი **ნიკოლოზ მიხეილის-ძე მგელიაშვილი.**

საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა საგარეჯოს რაიონის № 173 პატარძეულის საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი **ოთარ გიორგის-ძე საბაშვილი.**

სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სიღნაღის რაიონის № 177 მაღაროს საარჩევნო ოლქში დასახელეს სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მიხეილ ნიკოლოზის-ძე კრაწაშვილი.**

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **გიორგი სილიბის-ძე** ფოფელ ხონელიორის კოლმეურნეობაში წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა დადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამბროლაურის რაიონის № 253 ჭელიაღელის საარჩევნო ოლქში დასასახელონ საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი **მელქო ალფეზის-ძე ბიბილაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი **გერასიმე კონსტანტინეს-ძე მელქაძე** წულუკიძის რაიონის სოფელ კუნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში დაესახელებინა საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი **ამირან ივანეს-ძე გონაშვილი.**

ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრთა საერთო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლაგოდეხის რაიონის № 187 აფენის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე **ციალა გიორგის ასული ტალახაძე.**

სოფელ ზოდის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ჭიათურის № 218 ზოდის საარჩევნო ოლქში დასახელეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **პეტრე გედევანის-ძე გელბახიანი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი **მიხეილ გალაქტიონის-ძე კოდუა** სოფელ სხვატორის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საჩხერის რაიონის № 220 საჩხერის საარჩევნო ოლქში.

საჩხერის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საჩხერის რაიონის № 221 საარჩხის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ საბჭოთა მეურნეობის მევენახე **ვახილ სერგის-ძე ჯალაბაძე.**

ჩხარის იატაკის ფილების ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი **ოსეს დავითის-ძე ყიფიანი** დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თერჯოლის რაიონის № 225 ჩხარის საარჩევნო ოლქში.

ქვიტირის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში გამართული წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატად წყალტუბოს რაიონის № 245 ქვიტირის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი **გივი გიორგის-ძე ვაშაძე.**

გიმართა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომლის მონაწილეებმა გადაწყვეტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ტყვარჩელის № 248 ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დასასახელონ საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნოდარ ბაგრატის-ძე ჩხოლარია.**

გიმართა ფოთის ელექტროაპარატების ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. კრების მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ფოთის № 322 რუსთაველის საარჩევნო ოლქში დასასახელონ საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნინო ამბროსის ასული ლოკია.**

საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გობრონ ანდრონიკის-ძე ჯოხთაბერიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ სოხუმის № 326 თბილისის საარჩევნო ოლქში დასასახელეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებაზე.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტყვარჩელის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთ წარმომადგენლად გაგზავნონ საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **შოთა მამოს-ძე შაკაია** ქალაქ ტყვარჩელის № 334 კვენანის საარჩევნო ოლქში.

გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გუდაუთის რაიონის № 341 ბარმაშის საარჩევნო ოლქში დასახელეა ამ კოლმეურნეობის მერგოლური **თინა მიხეილის ასული მაისურაძე.**

ქობულეთის რაიონის № 375 ხუცუბნის საარჩევნო ოლქში სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი **რუბენ მიხეილის-ძე სიორიძე.**

ხალხმრავალი კრება გაიმართა თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებში“. აქ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 12 კომკავშირის საარჩევნო ოლქში დასასახლონ ქარხანა „ელექტროგამშვების“ ამწყობი-ზეინკალი **დალი ალექსანდრეს ასული კახეთელიძე.**

კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა განიხილეს ქალაქ თბილისის № 20 დიდუბის საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი და გადაწყვიტეს რესპუბლიკის პარლამენტში თავიანთ წარმომადგენლად გაგზავნონ ამ საწარმოს მოწინავე მქსოველი **მაყვალა ვლადიმერის ასული საბაშვილი.**

თბილისის სამართავი გამოსათვლელი მანქანების ექსპერიმენტული ქარხნის ხარატი **ანატოლი ალექსის-ძე კუდრეკო** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 24 მერკვილაძის საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კრებაზე დასასახელა **თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის** კოლექტივმა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიქტორი **დიმიტრი სიმონის-ძე მჭედლიძე** ამ თეატრის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ქალაქ თბილისის № 35 გოგებაშვილის საარჩევნო ოლქში დასასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა № 50 კოლხიდის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასასახელეს საკითხი და დაადგინეს, რომ რესპუბლიკის პარლამენტში თავიანთ წარმომადგენლად დასასახელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ოსიფის-ძე ხუციშვილი.**

ქალაქ თბილისის № 55 ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი **ელენე გრიგოლის ასული სურგულაძე.** მისი კანდიდატურა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე დასასახელეს ამ სკოლის პედაგოგებმა.

თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, რომლებიც თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე შეკრებილნენ, გადაწყვიტეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 59 ჯაფარიძის საარჩევნო ოლქში დასასახელონ ამ ფაბრიკის ბრიგადირი **ლილი სერგის ასული კაზარიანი.**

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან **რაფიელ სიმონის-ძე ელიგულაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად გარდაბნის № 78 აღთაღლილის საარჩევნო ოლქში დასასახელეს გაჩიანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე.

დმანისის რაიონის ვაკის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ამ მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადირი **ევსტაფი ალექსის-ძე იაგუბოვი.**

ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლნისის რაიონის № 139 ფახრალოს საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე **ტუკაზბან მამედ-ალი უზი ტანრივერდიევა.** (საქდესი).

7 მაისი რადიოს დღეა

უქალალდო და უმანქილო



76 წლის წინათ — 1895 წლის 7 მაისს რუსმა მეცნიერმა ალექსანდრე პოპოვმა მსოფლიოში პირველმა შექმნა რადიომიმღები აპარატი.

საბჭოთა კავშირის რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კავშირგაბმულობის მუშაკები, ყველა დარგის მომუშავე რადიოსპეციალისტებთან ერთად საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ რადიოს დღის, აწყობენ შეკრებებს, მეცნიერულ კონფერენციებს, სახავენ ღონისძიებებს და რეკომენდაციებს მომავალი მუშაობისათვის, რათა ფართოდ დანერგონ რადიოტექნიკის მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, უფრო სრულად გამოიყენონ რადიომაუწყებლობა და ტელევიზია მასების კომუნისტურად აღზრდისა და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისათვის.

მშრომელთა პოლიტიკური აღზრდის საქმეში რადიომაუწყებლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი.

1920 წლის 5 თებერვალს ვ. ი. ლენინმა წერილი გაუგზავნა ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის ხელმძღვანელს, გამოჩენილ მეცნიერს ბონჩბრუევიჩს. იგი სწერდა: „მიხეილ ალექსანდრეს-ძეს: ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გადაგიხადოთ დიდი მადლობა და თანაგრძნობა გიმოგიცავთ იმ დიდი მუშაობის გამო რადიოგამომგზავნელობაში, რომელსაც თქვენ ეწევით. უქადალდო და „უმანქილო“ გაზეთი, რომელსაც თქვენ ქმნით, უდიდესი საქმე იქნება. გპირდებით გიგიოთ ყოველგვარი და ყოველმხრივი დახმარება ამ და მსგავს მუშაობაში. საუკეთესო სურვილებით ვ. ულიანოვი (ლენინი)“.

1929 წელს მოსკოვში აშენდა 100-კილოვატიანი რადიომაუწყებელი სადგური, ხოლო ოთხი წლის შემდეგ მწყობრში ჩადგა 500-კილოვატიანი სადგური. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე მძლავრი რადიოსადგური. ვინაიდან სამამულო მრეწველობა ამ დროისათვის საკმაო რაოდენობით ვერ ამზადებდა სამაუწყებლო აპარატურას, ახალგაზრდა ქართველი რადიოსპეციალისტების ზურგან თოფურიასა და დიმიტრი ხმიადაშვილის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა თბილისში იმ დროს მომუშავე რადიოსადგურის რეკონსტრუქცია და მისი სამუშაოებით 1925 წლის მაისში მოხდა პირველი საცდელი გადაცემა.

შემდეგ წლებში საბჭოთა კავშირში სისტემატურად იზრდებოდა რადიომაუწყებელი სადგურების რაოდენობა და მათი სიმძლავრე. ახლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ჩვენი ქვეყნის ქალაქებში რადიომაუწყებლობა განსორციელებულია რამდენიმე ტალღაზე. ამასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ულტრამოკლეტალღიანი რადიომაუწყებელი სადგურების შენებლობას.

მეოცე საუკუნეში მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა წინსვლამ შექმნა ტელევიზიის განვითარების საფუძვლები. სატელევიზიო გამოსახულების რადიოთი გადაცემა საბჭოთა კავშირში მოხდა 1931 წლის 2 მაისს. იმავე წლის პირველი ოქტომბრიდან დაიწყო რეგულარული მაუწყებლობა.

1937 წელს მოსკოვსა და ლენინგრადში საექსპლოატაციოდ გადაეცა საცდელი ტელეცენტრები და, მიუხედავად იმისა, რომ სამამულო ომის დროს სატელევიზიო გადაცემები შეწყვეტილი იყო, საბჭოთა მეცნიერებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა არ შეუწყვეტიათ.

დღეისათვის საბჭოთა კავშირში 126 პროგრამული ტელეცენტრი, 150 მძლავრი რეტრანსლატორი, 30 ორბიტის სისტემის ტელეგადაცემების მიმღები სადგური და 120 მილიონზე მეტი ტელევიზორი, რადიომიმღები და რადიოფონტრტია. საქართველოში ტელევიზორების, რადიომიმღებებისა და რადიოფონტრტების რიცხვი 1,8 მილიონს აღემატება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტელეგადაცემების მხატვრულობა საგრძნობლად აამაღლა ფერადმა ტელევიზიამ. ახლა საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი მოსახლეობა იღებს ცენტრალური ტელევიზიის, აგრეთვე უკრაინისა და საქართველოს ფერად გადაცემებს. უახლოეს წლებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ექნება საკუთარი ფერადი გადაცემები.

საქართველოში საგრძნობლად განვითარდა ტელევიზია და რადიომაუწყებლობა. თბილისში აშენდა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახლი, სადაც თანამედროვე აპარატურით მოეწყო 13 პატარა და ერთი 300-მეტრიანი რადიოსტუდია და ერთი 600-მეტრიანი სტუდია ტელეგადაცემებისათვის. საქართველოს რადიომაუწყებლობას სამი პროგრამა აქვს. გარდა ამისა, აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში განსორციელებულია ადგილობრივი რადიომაუწყებლობა საკუთარი პროგრამებით. ამრიგად, საქართველოს რადიომაუწყებლობის მოცულობა საშუალოდ დღეში 31 საათს შეადგენს.

საქართველოს რაიონებში რადიოგადაცემების მყარი მიღების ზონის გასაფართოებლად და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ამ უკანასკნელ წლებში სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში დაიდგა მძლავრი საშუალო ტალღაზე მომუშავე რადიოსადგურები. ამ სადგურების ამუშავების შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდა როგორც რესპუბლიკური პირველი პროგრამის, ისე აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რადიომაუწყებლობის საკუთარი პროგრამების ადგილებზე მიღება.

რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის განვითარების საქმეში, მაგრამ ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პირველ რიგში ყველაზე აქტუალურია სოფლის დასახლებული პუნქტების რადიოფიციერების საკითხი და არსებული რადიოშესლისა და კვანძების წესრიგში მოყვანა. დღეისათვის ამ მხრივ ჩამორჩენა გვაქვს. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს კაპიტალური დაბანდების გეგმებში პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს სოფლად დასახლებული პუნქტების რადიოფიცირება. სოფლად დასახლებული პუნქტების რადიოფიცირების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ აგრეთვე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეისათვის კოლმეურნეობების ბალანსზე მყოფი რადიოკვანძების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

ტელევიზიის განვითარებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტთან ერთად დიდ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო. ახლა თბილისში შენდება ახალი სატელევიზიო ანძა, რომლის სიმაღლე 277 მეტრი იქნება, ე. ი. თითქმის ასი მეტრით მეტი, ვიდრე არსებული ანძაა. ახალი ანძის მშენებლობა 1972 წელს დამთავრდება და საქართველოს ტელეგადაცემების მყარი მიღების ზონა 20 კილომეტრით გაიზრდება.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია აგრეთვე მძლავრი ტელეტრანსლატორების დადგმა ყვარელში და რადიოსარეტო ხაზის მშენებლობა თბილისს-ყვარელს შორის. ეს ღონისძიება უზრუნველყოფს კახეთში ტელეგადაცემების მყარ მიღებას და ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას. ტექნიკური ხასიათის სამუშაოები ჩატარდება აჭარის მთიან რაიონებში, ჯავახეთსა და სხვა რაიონებში. ტელეგადაცემების მიღების ზონის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებულია დამატებით დაიდგას 20 მცირე სიმძლავრის ტელეტრანსლატორი. სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში დაიდგმება მძლავრი ტელეტრანსლატორები ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამის რეტრანსლაციისათვის.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ყველა შემოქმედებითი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი ენთუზიაზმით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV კონგრესის ისტორიული გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

რ. ლიპარტელიანი,
საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

* * *

სურათზე: ტელევიზიის ახალი ანძის მშენებლობა თბილისში.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესრულება

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1971 წლის 3 მაისისათვის (ფაქტარი)

	გეგმა	ფაქტიური შესრულება	შესრულების პროცენტი
კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში			
ახალქალაქის	22181	11270	51
ბოგდანოვკის	18280	4475	25
ახალციხის	3737	3370	90
ადიგენის	2010	1502	75
ასპინძის	2180	1458	67
ბაშურის	3229	3078	95
ქარელის	4872	4901	101
გორის	6836	5941	87
კასპის	5811	4623	80
ბორჯომის	1779	724	41
საგარეჯოს	8026	8073	100,6
გურჯაანის	4557	4625	102
სიღნაღის	15177	12481	82
წითელწყაროს	17929	18235	102
თელავის	3019	2890	96
ახმეტის	4843	4579	95
ყვარელის	4485	4315	96
ლაგოდეხის	8394	3742	45
გარდაბნის	14684	13014	89
მცხეთის	2450	1283	52
მარნეულის	9806	6445	66
ბოლნისის	4928	4267	87
წალკის	15220	10412	68
დუშეთის	2321	2095	90
თეთრი წყაროს	5570	5579	100,2
დმანისის	6903	5828	84
თიანეთის	**3641**	**2444**	**64**
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	**8228**	**6650**	**81**
წყალტუბოს	**11283**	**4681**	**42**
სამტრედიის	**8838**	**5759**	**65**
წულუკიძის	**4980**	**2479**	**50**
ვანის	**3062**	**2603**	**85**
მაიაკოვსკის	**2355**	**2113**	**90**
ზესტაფონის	**2855**	**2424**	**85**
თერჯოლის	**5085**	**4832**	**96**
ჭიათურის საქალაქო საბჭო	**3204**	**2586**	**81**
საჩხერის	**4562**	**4568**	**100,1**
ორჯონიკიძის ტყიბულის	**2823**	**1481**	**51**
საქალაქო საბჭო	**2437**	**1861**	**76**
ონის	**1690**	**586**	**35**
ამბროლაურის	**1625**	**1220**	**75**
ცაგერის	**2445**	**967**	**40**
ლენტეხის*	**1900**	**502**	**26**
აბაშის	**9632**	**6654**	**69**
ცხაკაიის	**7362**	**3807**	**52**
გეგეჭკორის	**5782**	**2235**	**39**
ზუგდიდის	**6929**	**2155**	**31**
ხობის	**7247**	**3341**	**46**
წალენჯიხის	**2393**	**1841**	**77**
ჩხოროწყუს	**3114**	**1360**	**44**
მახარაძის	**4937**	**1266**	**26**
ლანჩხუთის	**7841**	**2546**	**32**
ჩოხატაურის	**2649**	**394**	**15**
მესტიის	**846**	**419**	**50**
აფხაზეთის ასსრ	**31007**	**2364**	**8**
აჭარის ასსრ	**7414**	**1183**	**16**
სულ	**367339**	**226476**	**62**

* მონაცემები ლენტეხის რაიონის მიხედვით 26 აპრილისაა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

წლეულს გაზაფხული გვიან დადგა. ამან რამდენადმე დააყოვნა საგაზაფხულო კულტურების თესვის დაწყება. მიწათმოქმედნი ცდილობენ შეამცირონ მინდვრის სამუშაოების ვადები, რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრონ თეს

წინასაიუბილეო დღეთა მძლავრი მაჯისცემა



ახალ ხუთწლედს—კომუნისტთა ფიქრი და ზრუნვა!

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის პარტიულ კრებაზე

საბჭოთა საქართველო 50 წლისაა. ამ წინასაიუბილეო დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა მშობლიური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით სუნთქავს და შრომობს, რესპუბლიკის მშრომელები მთელ ძალებს რაზმავენ, რომ დიდ ზეიმს ღირსეული საჩუქრები მიუძღვნან. და საითაც უნდა გაიხედო, მკითხველო, ყველგან დაინახავ მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრებასა და შემოქმედებას, დიდ დაინტერესებას, რომ პარტიის შთანაფიქრი, მისი გეგმები წარმატებით განხორციელდეს.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ახლა ულევი საქმეა. საიუბილეო სამზადისთან ერთად მიმდინარეობს ყრილობის მასალების ფართო განმარტება და შესწავლა, დაიწყო ამ დიდი ფორუმის შედეგების პარტიულ კრებებზე განხილვა.

როგორი უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის როლი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში? რა წვლილს შეიტანენ ისინი ახალი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და წარმატებით განაღდებაში? — ამ კითხვებს ზუსტი და ამომწურავი პასუხი გასცა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატი ნიკოლოზ მამაიაშვილი. მან დაწვრილებით მოუთხრო კომუნისტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და კამათის მონაწილე დელეგატების გამოსვლებზე, ახალი ხუთწლიანი გეგმის მთავარ ამოცანებზე, ყრილობის შედეგებზე.

კამათი დიდხანს გაგრძელდა. მასში მონაწილეობა მიიღეს მემინდვრეობისა და მეცხვარეობის ფერმის დარგობრივი პარტორგანიზაციების მდივნებმა მ. ნატროშვილმა და ქ. ნასრაშვილმა, ინჟინერ-მექანიკოსმა შ. ნატროშვილმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. მაძღარაშვილმა, პოლიტინფორმატორმა გ. ჯამასპიშვილმა, კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის „კომუნიზმისაკენ“ რედაქტორმა ვ. ნატროშვილმა, მთავარმა ვეტექიმმა, პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელმა მ. სიფრაშვილმა, პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. ნატროშვილმა.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი.

ზემომაჩხაანელმა კომუნისტებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ამ წინასაიუბილეო დღეებში რესპუბლიკის ყველა კომუნისტს მიმართონ მოწოდებით რომ მეცხრე ხუთწლედით გათვალისწინებული დავალებანი ოთხ წელიწადში შეასრულონ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მასალებს ამ პარტიული კრების შესახებ.

სურათზე: სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი, ზემომაჩხაანელ კოლმეურნეთა თავკაცი ნიკოლოზ მამაიაშვილი ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს თანასოფლელთა კიდევ ერთ ჯგუფს.
ფოტო ბ. არშანენკოსი.

თვითეული ჩვენგანის საქმე

ნ. მამაიაშვილი,
სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი,
სოციალისტური შრომის გმირი.

ძნელია ყოველივე იმის გადმოცემა რაც მოხდა ან ყრილობის დიდ დარბაზში ყოფნისას განვიცადე. ეს ჩვენს ცხოვრებაში ნამდვილად დიდი მოვლენა, პირადად ჩემთვის კი დიდი სკოლა იყო.

აღფრთოვანებული ვარ და არ შემიძლია არ აღვნიშნო ის უდიდესი ყურადღება, სიყვარული და გულისხმიერება, რასაც ყრილობის დელეგატებისადმი იჩენდნენ ჩვენი დედაჭალაქის მშრომელები. ყველგან, სადაც კი გვიხდებოდა ყოფნა, გვხვდებოდა ღიმილი და მისალმების შეძახილები.

ჩემმა კოლეგამ — მიხაკო ორაგველიძემ, ერთხელ ხუმრობით მომმართა, ნახე, ნიკო, რას მოესწარ ზემომაჩხაანელი კაცი, მოსკოველები როგორ გეხალმებიანო.

ყრილობაზე გულისყურით იქნა მოსმენილი და განხილული სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც წარმოადგინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ანალიზი აქვს გაკეთებული თვალ იმ მუშაობას, რაც ჩვენმა პარტიამ და ხალხმა გასწიეს გასულ ხუთწლედში.

ყრილობამ, ა. კოსიგინის მოხსენების საფუძველზე, დაამტკიცა ხუთწლიანი გეგმის დირექტივები — ჩვენი პარტიისა და ხალხის დიდმნიშვნელოვანი საპროგრამო დოკუმენტი.

ყრილობაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი, და ჩემს მოხსენებაშიც დაწვრილებით მინდა შევეხო სოფლის მეურნეობის საკითხებს, საითკენაც მიმართულია ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა.

საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მთელი რიგი მიზეზებისა და თავისებურებების გამო ეს დარგი ჯერჯერობით ისევ არის ჩვენი ეკონომიკის ყველაზე რთული და ძნელი უბანი. აღსანიშნავია, რომ პარტიის მუშაობა ამ მხრივ გასულ ხუთწლედში დიდი მიღწევებით დაგვირგვინდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მოპოვებული აქვს სასახელო მაჩვენებლები, და ეს აღინიშნა ყრილობაზე, მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის მხრივ ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩენილთა რიგებში იქნა დასახელებული. გულახდილად მინდა ვთქვა, რომ ამ მხრივ, მართლაც, დიდი ნაკლოვანებები გვაქვს. ყრილობაზე გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან, რომლებმაც წარმოადგინეს მოწინავე მეურნეობების მაჩვენებლები, დავრწმუნდი, რომ ჩვენი კოლმეურნეობის მიღწევები მეცხოველეობის პროდუქტიულობის, თუნდაც მარცვლეულის წარმოების მხრივ, სრულიადაც არ არის საკმარისი. ეს იმ დროს, როცა სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. იქ ლაპარაკი იყო თვითეულ საფუძველ ძროხიდან არა 2.000 და 2.500, არამედ 5.000-6.000 ლიტრი რძის მიღებაზე, თვითეული ჰექტარიდან არა 20-25, არამედ 40 და 60 ცენტნერი მარცვლეულის მიღებაზე და სხვ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებთან ერთად ეს დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყველა კომუნისტს, მეცხოველეობის ყველა მუშაკს.

მეცხოველეობასთან ერთად ჩვენმა კოლმეურნეობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მარცვლეულის წარმოებას, როგორც სოფლის მეურნეობის საფუძველთა საფუძველს. ბალახმინდვრიანი თესლბრუნვის დანერგვამ, რამაც სათანადო საფუძველი მოუმზადა მეცხოველეობის განვითარებას — მტკიცე საკვები ბაზის შექმნით — გამოიწვია ხორბლის ნათესი ფართობის შემცირება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ შევამციროთ მარცვლეულის წარმოების საერთო მოცულობა, პირიქით, იგი უნდა გაგზარდოთ მიწის ნაყოფიერების ამაღლების, ახალი მიწების ათვისების ხარჯზე.

ყრილობაზე როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა დიდი ყურადღება დაუთმეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, სოფლად შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების საკითხებს; მიუხედავად გასულ ხუთწლედში ამ მხრივ გაწეული მუშაობისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. თქვენთვის ახლა უკვე ცხადია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკის ზრდაში შიდასამეურნეო ანგარიშის, ე. ი. მანეთით კონტროლის დანერგვამ. ეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ერთ-ერთი ელემენტია, და მომავალში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მის სრულ დანერგვას.

რაც შეეხება მექანიზაციის საკითხს, კოლმეურნეობაში ცუდად როდი დგას, მაგრამ, მას მაინც მაკმაყოფილებელად ვერ ვიყენებთ. მისი სრული დატვირთვისათვის, ე. ი. ორ ცვლად მუშაობისათვის ორმოცამდე ტრაქტორისტი გვაკლია. ყრილობაზე სამართლიანად ითქვა, მექანიზატორი სოფლის მეურნეობაში ცენტრალური ფიგურაა და მას მზრუნველობა მომავალშიც არ უნდა მოვაკლოთო. ამ პროფესიით უნდა დავაინტერესოთ და მივიზიდოთ ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდობა.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თვითღირებულების შემცირება ყოველთვის დგას ჩვენი პარტიული ორგანიზაციის და კოლმეურნეობის გამგეობის ყურადღების ცენტრში, მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს სასურველი შედეგები.

ახლა, როცა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წინადღეებია, კმაყოფილებით ავღნიშნავთ საიუბილეო ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. კოლმეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულა გასული ხუთწლედის დავალება მარცვლეულს, ყურძნის, მზესუმზირის, ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოებაში, სახელმწიფოს მივყიდეთ 17.747 ტონა მარცვალი, 12.531 ტონა ყურძენი, 6.278 ტონა მზესუმზირა, 3.251 ტონა ხორცი, 11.830 ტონა რძე, 6.274.000 ცალი კვერცხი, 626 ტონა მატყლი და სხვა პროდუქტები. მაგრამ როგორია პროდუქციის წარმოების დონე? ჰექტარზე საშუალოდ 19,6 ცენტნერი მარცვლეული, 12,2 ცენტნერი მზესუმზირა, თვითეული ძროხის მონაწველი 2.500 კილოგრამი, თვითეული ცხვრის ნაპარსი 3,5 კილოგრამი და სხვ. ძალიან მცირეა იმ მაჩვენებლებთან შედარებით, რაც ყრილობაზე წარმოადგინეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე რესპუბლიკებმა, ოლქებმა, მხარეებმა და ცალკეულმა მეურნეობებმა. ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა და მომავალში უნდა ვიბრძოლოთ ერთი-ორად მაღალი მაჩვენებლებისათვის, ვიდრე ახლა გვაქვს. მარტო პირველ კვარტალში ჩვენმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 236 ტონა ხორცი, 750 ტონა რძე, 679.000 ცალი კვერცხი.

ჩვენს კომუნისტებს, სოფლის მშრომელებს განსაკუთრებით ახარებთ ის, რომ მომავალ ხუთწლედში დიდი ყურადღება ეთმობა სოფლის კეთილმოწყობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოებას, ხელფასებისა და პენსიების გადიდებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის რიგები, რაც ძირითადი და გადამწყვეტი ძალაა ჩვენთან. მისი როლი და ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდება მაშინ, როცა იგი დაწვრილებით შეასწავლის ჩვენს კოლმეურნეებს ყრილობის გადაწყვეტილებებს, დარაზმავს და მხარში ამოუდგება მათ მეცხრე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

სასიხარულოა იმის თქმაც, რომ ჩვენი კომუნისტები აცხადებენ მზადყოფნას — სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ახალი ხუთწლედის დავალებანი ვადაზე ბევრად ადრე — ოთხ წელიწადში შეასრულონ.

ზემომაჩხაანელი მშრომელები, რომელთაც ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე თავიანთი სოფლის მეურნეობისა და კულტურის არნახულ აყვავებას მოაღწიეს, ყოველმხრივ ხელდამშვენებულნი მივლენ დიდ ეროვნულ ზეიმზე.



საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა, დამშვენდა ზემო მაჩხაანი. აბა, ახლა ნახეთ! პატარა, ალიზით ნაშენი ქოხმახების ნაცვლად დიდი, ლამაზი და ნათელი შენობები წამოიმართა. ეს კი, სურათზე რომ ხედავთ, კოლმეურნეობის კულტურის სახლია.
ფოტო ბ. გაბუნიასი.

სოფელი დიდ გზაზე

● ციგვიმბორის ზეგანზე შეფენილ სოფელს დიდხანს სტანჯავდა უგზოობა და უწყლობა. გუდანაბადაპირული მშრომელები ურმით თუ ფეხით 30-40 კილომეტრზე დაიარებოდნენ იქ, სადაც მათი კალო და საბძელი, ცხვარი და ძროხა იყო. ორიოდე ჰექტარ მიწას თუ გამოკაწრავდნენ კავითა და გუთნით. სიღარიბე, შიმშილი და უმეცრება იყო მათი ხვედრი. ერთი სავაჭრო დუქანი და ერთი ორკლასიანი სკოლა ნაქირავებ ბინაში — ეს იყო და ეს სოფლის აყვავდიდება.

● **1927 წელს** ოცამდე უღარიბესმა გლეხმა სცადა სასოფლო-სამეურნეო კოოპერირებაზე. ბალი მთაგორობისაგან სესხიც აიღეს და მეურნეობა ფეხზე დაყენეს.

თუ 1935 წელს სოფელში არსებულმა ხუთმა კოლმეურნეობამ 102 ტონა მარცვალი დაამზადა, შარშან ამ ერთმა ლენინის ორდენოსანმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 5.200 ტონა მარცვლეული, 3.500 ტონა ყურძენი, 650 ტონა ხორცი, 2.300 ტონა რძე და სხვა პროდუქტები.

● **კოლმეურნეობაში** დღისათვის გაერთიანებულია 1.327 კომლი, რომელიც 27.350 ჰექტარ მიწას ფლობს, აქედან 8.000 ჰექტარზე მეტი სახნავია. კოლმეურნეობას აქვს 70 ტრაქტორი, 90 ავტომანქანა და სხვ. ჰყავს 3.800 სული მსხვილფეხა საქონელი, 31.000 სული ცხვარი, 3.100 სული ღორი, 25.000 ფრთა ფრინველი.

დღევანდელი ზემო მაჩხაანი აღსავსეა სოციალისტური სოფლის ყველა სიკეთით: კეთილმოწყობილი გზებით, განათებით, ტელევიზორით, გაზქურით და სხვ. ამ სოფლიდან ყოველდღიურად ადის სამარშრუტო ავტობუსები თბილისის, თელავის, ბაკურიანის მიმართულებით.

ᲬᲘᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲒᲘᲐ

პარტიული კრება კარგა ხანს გაგრძელდა. კამათში გამოსვლის მსურველიც ბევრია. ამ საქმიანი სჯა-ბაასის მიზანი კი ის არის, რომ შეიმუშაონ ნათელი და პრაქტიკული ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებას, თვითეული კომუნისტის, თვითეული კოლმეურნის აქტივობის გაძლიერებას, მათი ინიციატივის სრულად გამოვლინებას, იმ ამოცანების დროულად და წარმატებით შესრულებას, რაც პარტიის XXIV ყრილობამ თვითეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა.

— მეცხოველეობა ჩვენთან დიდი პატივისცემით სარგებლობს, — ამბობს კოლმეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი **ა. იაკობიშვილი**, — კოლმეურნეობის კომუნისტთა ნახევარზე მეტი სწორედ ამ დარგშია დასაქმებული და ყოველი ღონისძიებით ცდილობს განამტკიცოს ზემო მაჩხაანელთა ტრადიციები.

მომავალშიც მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ მაღალპროდუქტიული სანაშენე მოზარდის მოვლა-პატრონობას, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვას, მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ამბობს იგი.

კოლმეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი **შ. ნატროშვილი** თავის სიტყვაში შეეხო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებას და თქვა, რომ ამ საკითხს წარმატებით მაშინ გადავწყვეტავთ, თუ გადაჭრით გავაუმჯობესებთ მექანიზატორთა მომსახურებას მინდვრად, შევიმუშავებთ და დავნერგავთ მათი შრომის სტიმულირების ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

საყოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორმა **ვ. ნატროშვილმა.** ილაპარაკა გაზეთის როლსა და ავტორიტეტზე, იმაზე, რომ მასში უფრო აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ კომუნისტები, დარგის ხელმძღვანელები, სპეციალისტები.

კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი **მ. ნატროშვილი** შეეხო მიწის ნაყოფიერების ამაღლების საკითხებს. მან თქვა, რომ ბალახმინდვროვანი თესლბრუნვის დანერგვით, აგროღონისძიებების განუხრელად გატარებით შეძლებთ ავამაღლოთ მარცვლეულის მოსავლიანობა, სათანადო საფუძველი მოვუმზადოთ მეცხოველეობას.

კომუნისტის პირად მაგალითზე, მისი პასუხისმგებლობისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე ილაპარაკა მეცხვარეობის ფერმის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ქ. ნასრაშვილმა.**

კომკავშირელების, ყველა ახალგაზრდის შრომის გააქტიურებაზე, დამატებით ახალგაზრდული ბრიგადების შექმნაზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **მ. მაძღარაშვილმა.**

კრების მონაწილეთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ახალი, საპატიო გეგმებისა და ამოცანების წარმატებით გადაჭრისაკენ, სკკპ XXIV ყრილობამ რომ დასახა.

ᲐᲮᲚᲐᲪ, როცა ჩვენი პარტიული კრების ტრიბუნაზე ვარ, ვფიქრობ, რა ბრძნული და უკვდავია მარქსისტული დებულება: „თეორია იქცევა მატერიალურ ძალად, როცა იგი მასებს დაეუფლება“. მართლაც, როცა უფრო ღრმად ეცნობი ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებების შინაარსს, იცი, რომ ყოველი გასაკეთებელი საქმის, ყოველივე დასახულის პრაქტიკულად განხორციელება ერთ მიზანს ემსახურება — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებას, მათს სიმშვიდესა და ბედნიერებას, მუშაობ გორკეცებით, არ აშურებ შენს ძალასა და ენერგიას ამ მიზნის მისაღწევად. აი რატომ არის ჩვენს კოლმეურნეობაშიც ასეთი აღმავლობა და სწრაფვა, რატომ

ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ

გ. სიფრაშვილი,
მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელი.

არის ახალი რეზერვებისა და საშუალებების ძიება.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ დღეებში უფრო მეტი საქმე აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელ პროპაგანდისტთა სემინარს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ყრილობის მუშაობის პირველი დღიდანვე მსმენელები დიდი ინტერესით ეცნობიან მის მასალებს, ღრმად სწავლობენ თვითეულ დოკუმენტს, რადგან ისინი თავის მხრივ სხვებს განუმარტავენ, ასწავლიან სკკპ XXIV ყრილობის მასალებს. საამისოდ სხვა მრავალ ფორმასთან ერთად ვიყენებთ ჯგუფურ და ინდივიდუალურ საუბრებს, კითხვა-პასუხის საღამოებს. კარგი იქნება, თუ პარტიული კომიტეტი ითავებს

ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

გ. ჯამასპიშვილი,
მევენახეობის № 8 ბრიგადის ბრიგადირი, პოლიტინფორმატორი.

ახლა ცალკეული ბრიგადების, როგორებისა და მევენახეების მაჩვენებლებს არ იკითხავთ!

ამჟამად ჩვენს ვენახებში საფუძველი ეყრება ახალი ხუთწლედის პირველი წლის მოსავალს. რას ვფიქრობთ, რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ სიტყვა საქმით დავამშვენოთ? მოსავლიანობის გადიდების დიდი რეზერვია სიმეჩხრის ლიკვიდაცია, ჯეროვნად უნდა გამოვიყენოთ სარწყავი სისტემა და სასუქებიც. ამ ბოლო დროს ვენახებში გაჩნდა ახალი ტექნიკა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საკმარისი როდია. უნდა მეტი ვიღონთ, რომ მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება, წამლობა, სასუქის შეტანა და სხვა სამუშაოები მთლიანად მექანიზმებით სრულდებოდეს.

აქვე მინდა დავაყენო ზოგიერთი საკითხი:

ᲬᲕᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲩᲮᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

გ. ჯამასპიშვილი,
მევენახეობის № 8 ბრიგადის ბრიგადირი, პოლიტინფორმატორი.

მევენახეობის ყველა ბრიგადას მიეცემული აქვს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოების დავალებანი. თუმცა ამ დავალებებს ვასრულებთ, მაგრამ ძალზე ძვირიც გვიჯდება. მიზეზი კი ძირითადად ის არის, რომ ამ კულტურებს მცირე რაოდენობით ვაწარმოებთ, ისიც ხელით. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოებისათვის სპეციალიზებულ ბრიგადებს შევქმნით. გვიჭირს პროდუქციის შორ მანძილზე გადატანაც, რადგან მისი გადამუშავებისათვის რაიონში არავითარი საწარმო არ არსებობს.

სასურველია, რომ ჩვენს რაიონშიც იყოს ვაზის სანერგე მეურნეობა, რაც კოლმეურნეობათა მოთხოვნილებებს ნერგზე სრულად დაკმაყოფილებდა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲗ

ე. ნატროშვილი,
პარტიული კომიტეტის მდივანი.

ამ ასი, ახალი შეტევა დაიწყო. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ის დიდი შუქია, რომლითაც უნდა ვიაროთ, ვიმრომოთ და ვიცხოვროთ მეცხრე ხუთწლედში. თვითეულმა ჩვენგანმა კი სწორად რომ მოძებნოს ადგილი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, უფრო მეტი და საჭირო წვლილი რომ გაიღოს, საჭიროა ღრმად, საფუძვლიანად იცოდეს ყრილობის მასალები და გადაწყვეტილებანი. აი რატომ გვინდა, დღეს მეტად საქმიანად მოვილაპარაკოთ იმაზეც, თუ როგორ უფრო შინაარსიანად და საინტერესოდ მოვაწყოთ ამ ისტორიული დოკუმენტების ფართო ადრმა შესწავლა. მე მხარს ვუჭერ აქ გამოთქმულ წინადადებას, რომ ლექციებ-საუბრებთან ერთად სულ მალე კოლმეურნეობაში მოეწყოს თეორიული კონფერენცია ყრილობის მასალების ირგვლივ, სოლო დარგების მიხედვით შექმნილ პარტორგანიზაციებში — კითხვა-პასუხის საღამოები.

როგორც მომხსენებელმა თქვა, ჩვენი ორასერთნეგრიანი პარტიული ორგანიზაცია დიდი ძალაა, რომ წარმატებით გადაწყვიტოს ყველაზე მომწიფეული საკითხები. ოღონდ საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ თვითეულის პასუხისმგებლობა და აქტივობა, ხელი შევუწყოთ ინიციატივისა და თაოსნობის გამოვლინებას. აი თუნდა ის რად ღირს, რომ მოწინავე მწვანეული კომუნისტი ივანე ნატროშვილი თავისი სურვილით გადავიდა ხბოების მომვლელად. მეძროხეობაში ხომ ეს უბანი ყველაზე ძნელ სამუშაოდ არის მიჩნეული!?

იმ მიზნით, რომ კომუნისტების გავლენა ჩვენი საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე იგრძნობოდეს, საამისოდ ცოტა ღონისძიებანი როდი ჯანახორციელეთ. ახლა მემინდვრეობაში 40 კომუნისტი მუშაობს, მევენახეობაში — 39, მეცხვარეობაში — 27, მეძროხეობაში — 25, მეღორეობაში — 8, მეფრინველეობაში — 3, აგტოპარკში — 13 და სხვ. მაგრამ ეს საკმარისი როდი აღმოჩნდა. ვფიქრობთ, ამ კრების შემდეგ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ კომუნისტები განაწილებული იყონ სამუშაოზე არა ცალკეული დარგების, არამედ ბრიგადებისა და წამოწყებების მიხედვით, სწორედ ისე, რომ პარტიული ორგანიზაციის წევრთა ჯავლენა სწვდებოდეს ყველა საწარმოო ერთეულს.

დღევანდელ კრებაზე ბევრი საინტერესო საკითხი წამოიჭრა. ისინი უნდა აისახოს პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმაში. მთავარი, რასაც პარტკომი მიაქცევს ყურადღებას, ის იქნება, რომ კიდევ უფრო აგამაღლოთ თვითეული კომუნისტის აქტივობა, განვავითაროთ ინიციატივა, რადგან პარტიის დიდი და საპატიო გეგმების განხორციელებას ჩვენმარტად შემოქმედებითი მიდგომა სჭირდება.

ᲬᲘᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲒᲘᲐ

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲝᲗᲮ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ

● **მოწონებული და სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, წინადადებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები.**

● **დაევალოს პარტიულ კომიტეტს, საკავშირო პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს გულდასმით შეისწავლონ პარტიის XXIV ყრილობის მასალები, გააცნონ ისინი თვითეულ მშრომელს. ამ მიზნით გაიზარდოს პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა რიცხვი 15 ამხანაგით.**

● **პარტიულმა კომიტეტმა, ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, შეადგინოს პერსპექტიული სამუშაო გეგმა იმ ანგარიშით, რომ ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაებას ყველა კომუნისტი. ყოველი ღონისძიებით აამაღლოს დარგობრივი პარტიული ორგანიზაციების აქტივობა, მათი როლი და ბრძოლისუნარიანობა მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. სისტემატურად შეამოწმოს დადგენილების შესრულება.**

● **მოეწყოს პროპაგანდისტთა, პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა სემინარი. ყრილობის მასალები შესწავლილ იქნას პოლიტიკური განათლების ყველა რგოლში. პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის შედეგების და კოლმეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების შესახებ მიმდინარე წლის მაისის მეორე ნახევარში მოეწყოს თეორიული კონფერენცია.**

● **კოლმეურნეობასთან არსებული პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოეწყოს თემატური გამოფენები და კითხვა-პასუხის საღამოები.**

● **ფართოდ იქნას გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, სისტემატურად მოეწყოს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება და მისი თვალსაჩინოება.**

● **კომუნისტთა მთელ საქმიანობაში მთავარი ყურადღება დაეთმოს ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლას, მიწის ნაყოფიერებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების ვადამდე და გადამეტებით შესრულებას.**

● **კიდევ უფრო განვამტკიცოთ კომუნისტთა შორის პარტიული დისციპლინა, ჯანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავაძლიეროთ სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა და კონტროლი.**

● **დაევალოს კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის „კომუნიზმისაკენ“ სარედაქციო კოლეგიას ფართო პროპაგანდა გაუწიოს პარტიის XXIV ყრილობის მასალებს, ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლას.**

● **პარტიული კრება რესპუბლიკის ყველა კომუნისტს ამ წინასაიუბილეო დღეებში მიმართავს მოწოდებით გაუალონ ორგანიზატორული და კოლიტიკური მუშაობა ისე, რომ მშრომელთა კოლექტივებმა უზრუნველყონ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება.**

საქართველოს ქუთა-ბაშუი

მეგობრობის ძაფი გაიბა

გმირმა ბარათი მიიღო...

ჭიათურა. (საკ. კორ.). შრომამ შორს გაუთქვა სახელი ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს წარჩინებულ მუშას, სოციალისტური შრომის გმირს პ. გოგატიშვილს. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის წინასაზეიმო დღეებში პ. გოგატიშვილის შრომით საქმიანობას ცენტრალურმა ტელევიზიამ გადაცემა მიუძღვნა. ეს გადაცემა ნახეს ტულის ოლქის შჩეკინოს რაიონის პერვომაისკის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმაც.

ასლანან ჭიათურაში პ. გოგატიშვილის სახელზე მოვიდა მოსწავლეთა ბარათი. ისინი იწერებიან:

„პატივცემულო ამხანაგო გოგატიშვილო! ცენტრალურმა ტელევიზიამ მოგვითხრო თქვენზე და თქვენს შრომით საქმიანობაზე.

ჩვენ, პერვომაისკის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები ვაგროვებთ მასალებს ალმანახისათვის „საქართველოს საუკეთესო ადამიანები“.

ძალიან გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი ფოტოსურათი და ავტობიოგრაფია. გვიამბეთ თქვენს შრომით წარმატებებზე, როდის და რისთვის დაიმსახურეთ უმაღლესი საპატიო წარჩინება — სოციალისტური შრომის გმირობა.

დაბეჭითებით გთხოვთ გამოხმაუროთ ჩვენს წერილს, რითაც დაგვეხმარებით საპატიო დავალების შესრულებაში. გვინდა თქვენ იყოთ ჩვენი ალმანახის ერთ-ერთი ქართველი გმირი.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ წარმატებას შრომაში, უსაზღვრო ბედნიერებას პირად ცხოვრებაში“... ბარათს ხელს აწერენ სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები.

სოციალისტური შრომის გმირმა პ. გოგატიშვილმა როდი დააყოვნა. ტულელ მოსწავლეებს გაუგზავნა ფოტოსურათი და ავტობიოგრაფია, წარმატება უსურვა მათ სწავლასა და შრომაში. გმირმა დაწვრილებით მისწერა თავის შრომითსა და საბრძოლო საქმიანობაზე, ყოფაცხოვრებაზე.

ასე გაიბა მეგობრობის კიდევ ერთი ძაფი.

7 მაისი რადიოს დღეა



ტელესტუდიის ოპერატორები ამზადებენ მორიგ გადაცემას.

ფოტო ს. კილაძისა.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დაჯილდოება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის წინ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სატასტიო სიგელით, ხოლო პირველ კვარტალში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით კინოსტუდიის კოლექტივს მიენიჭა პრემია. ამ წარმატებასთან დაკავშირებით მისალოც დეპეშას ხელს აწერენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. რომანოვი და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ა. პაუკოვი.

ამ ჯილდოების პასუხად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივმა ვალდებულება იკისრა კვლავაც მაღლიწოს წარმატებებს მუშაობაში, გამოუშვას ჩვენი სახელოვანი ეპოქის შესაფერი ფილმები. (საქფესი).

„ხიდი“ — საკავშირო სცენაზე

მოსკოველები პირველად ალ. ჩხაიძის პიესა „ხიდს“ დედაქალაქში რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლების დროს გაეცნენ. პიესის ავტორიზებული თარგმანი ეკუთვნის ცნობილ დრამატურგს ლ. ზორინს. ახლახან მოსკოვის კ. სტანისლავსკის სახელობის დრამატულმა თეატრმა „ხიდი“ მორიგ პრემიერად უჩვენა მაყურებელს. სპექტაკლი დადგა ი. ხმელნიცკიმ, მხატვრობა ეკუთვნის თამარ ელიავას. „ხიდის“ პრემიერა იყო აგრეთვე მოსკოვის საოლქო დრამატულ თეატრში (რეჟისორი ე. კემარსკაია, მხატვარი ი. დოლმანოვი). უფრო ადრე კი ქართველი მწერლის პიესა ნახეს ყაზახეთის დედაქალაქის ალმა-ატის მაყურებლებმა, მ. ლერმონტოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის სცენაზე.

ვ. ი. ალმია — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

ს ო ხ უ მ ი ს გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტმა ვახტანგ იოსებიძე ადამიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება და გლეხობის დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის ბოლო მესამედში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. ი. ადამიასათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

20 მაისს დღის 12 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ბახარაძის, 14) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვასილ სოლომონის-ძე კურტანიძე** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობა და მისი ამაღლების გზები“ (საქართველოს სსრ ქვემო ქართლის დაბლობის სოფლის მეურნეობის საგარეუბნო ზონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მაგალითზე).**

20 მაისს დღის 2 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ბახარაძის, 14) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **კოტე ავთანდილის-ძე იოსელიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საქართველოს სამეხბარეო კოოპერაციის ცალობრივი ქსელისა და საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

გამარჯვება დონის-როსტოვში

თბილისის დინამოელებს საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის მატჩი გუშინ დონის-როსტოვში არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელებთან ჰქონდათ.

მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა არასახარბიელო იყო, ამიტომ არც ერთ მათგანს უკან დასახევი გზა არ ჰქონდა. ბრძოლა შეუპოვარი, უკომპრომისო გამოდგა. დინამოელთა იერიშებს თავიდანვე მძაფრი ხასიათი ჰქონდა, და აი ერთ-ერთ მათგანს მე-17 წუთზე შედეგიც მოჰყვა. გოლის ავტორი მაჩაიძე იყო.

სკა ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჩემპიონატზე ჯერ არც ერთი შეხვედრა არ მოუგია. ამიტომ არმიელი ფეხბურთელები ძალებს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ როგორმე თავი დაეღწიათ წარუმატებლობისათვის. მაგრამ უშედეგოდ. თბილისელებმა გაიმარჯვეს 1:0.

„დინამო“ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა — ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხუციელავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, კუტავაძე, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია. მეორე ნახევარში თამაშობდა ჭელიძე.

ოლიმპიური შესარჩევი...

გაიმართა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის რამდენიმე შეხვედრა ფეხბურთში. ბულგარეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა სოფიაში დაამარცხა ინგლისის გუნდი 5:0 (2:0) და მორიგ ტურში გამოსვლის უფლება მოიპოვა. ამ გუნდების პირველი შეხვედრის შედეგი იყო 1:0 ინგლისელთა სასარგებლოდ.

აი სხვა მატჩების შედეგები — ესპანეთი-თურქეთი 3:0 (0:0), დანია-შვეიცარია 4:0 (2:0), ავსტრია-ლუქსემბურგი 3:2 (1:1). ისევე, როგორც ბულგარელები, დანიელებიც ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის მორიგ ტურში გავიდნენ.

ბელგრადი

ტელესტუდიის ოპერატორები ამზადებენ მორიგ გადაცემას.

ფოტო ს. კილაძისა.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის კიდევ ექვსი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — ვოროშილოვგრადის „ზარიასა“ და კიევის „დინამოს“ გუნდები. მატჩის შედეგია 1:0 კიეველთა სასარგებლოდ.

მოსკოვის სპარტაკელებს საკუთარ მოედანზე შეხვედრა ჰქონდათ ლენინგრადის „ზენიტთან“. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

მინსკში თამაშობდნენ მოსკოვისა და მინსკის „დინამოს“ გუნდები. ორივე კარი აუღებელი დარჩა — 0:0.

მოსკოვის „ტორპედო“ ტაშკენტში შეხვდა ადგილობრივ „პახტაკორს“. აქაც ფრე — 0:0.

ალმა-ათაში „კაირატის“ წინააღმდეგ თამაშობდა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი. გაიმარჯვეს ალმა-ათელებმა 2:1.

ერევნის „არარატი“ საკუთარ მოედანზე შეხვდა ბაქოს „ნეფტჩის“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 7 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	6	4	2	0	7-1	10
„არარატი“ (ერ.)	6	4	1	1	9-3	9
„ზარია“ (ვ.)	7	3	3	1	8-4	9
„კაირატი“ (ალმ.)	6	3	2	1	9-6	8
„დინამო“ (მ.)	6	2	4	0	5-3	8
„ნეფტჩი“ (ბ.)	6	1	4	1	8-5	6
„სპარტაკი“ (მ.)	6	1	4	1	4-4	6
ცსკა	7	2	2	3	6-7	6
„დინამო“ (თბ.)	6	2	2	2	4-7	6
„დინამო“ (მნ.)	6	1	3	2	8-9	5
„ზენიტი“ (ლ.)	6	1	3	2	4-6	5
„შახტიორი“ (დ.)	5	2	0	3	4-4	4
„ტორპედო“ (მ.)	6	0	4	2	1-3	4
„პახტაკორი“ (ტ.)	6	1	2	3	3-10	4
„კარპატი“ (ლვ.)	5	1	1	3	6-9	3
სკა (როსტ.)	6	0	3	3	3-8	3

რამდენიმე სტრიქონით

● **შეჯამებულია** ეტიუდისტთა რამდენიმე საერთაშორისო და საკავშირო კონკურსის შედეგები. ამ კონკურსებში საქართველოს წარმომადგენლებმა არა ერთი სპრინზო ადგილი დაიკავეს. ფრანგული საშაქრაკო კომპოზიციის ჟურნალ „ტემ-64“-ის უკანასკნელ კონკურსში პირველი პრიზი დაიმსახურა გ. ნადარეიშვილისა და ვ. ნეიძის კოლექტიურმა ნაშრომმა, ხოლო ჟურნალ „შახმატნაია მოსკვას“. საკავშირო კონკურსში გ. ნადარეიშვილმა პირველი ადგილი დაიკავა. საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში წარმატება (მეორე ადგილები) ხვდა ავგრეთვე თბილისელ ვ. კალანდაძეს.

● საშრანბმოის ქალაქ ლე-მანში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ფინალის საგუშაგოზე მოიპოვეს საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა. დასკვნითს ასპარეზობაში, რომელიც ესენში გაიმართება, წინასწარი შეხვედრების გაუკვლევლად ფინალში დაშვებული არიან სსრ კავშირის (კონტინენტის ჩემპიონი) და გერმანის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები (ტურნირის მასპინძელი).

● **ბუშინ** ზაპოროჟიეში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. უკანასკნელ მატჩში მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა თბილისის „ბორეველესტნიკი“ 22:16 და ჩემპიონობა შეინარჩუნა.

● **ბუშინ** ვარშავაში სტარტი აიღო „მშვიდობის ველორბოლამ“. პირველი ეტაპი შედგა პოლონეთის დედაქალაქში. ფინიშთან ერთდროულად სპორტსმენთა დიდი ჯგუფი მივიდა. გამარჯვება მიეკუთვნა იტალიელ ბონდარატოს. საბჭოთა ველომრბოლი სტარკოვი მეოთხე იყო.

ბ ზ ა მშვიდობისა



მტკვრის სანაპიროზე უამრავი ხალხი შეიკრიბა... მდინარის ტალღებზე ირწეოდა ექვსმტრიანი საზღვაო ნავი... სახელდახელო მიტინგი, უკანასკნელი ხურვალები, გზის დალოცვა და ნიჩბების მძლავრმა მოსმამ ნავი ნაპირს დაიცილა, იგი გზას გაუდგა. გზა კი მეტად შორია...

რვა ვაჟკაცი — გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. სახელაშვილი, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი ი. ჩხეიძე, ბიოქიმიის ინსტიტუტის ინჟინერი ნ. ენუქიძე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ოპერატორი ჯ. ქრისტესაშვილი, გეოლოგები ა. აკაველაშვილი, ნ. რჩეულიშვილი, გ. სახელაშვილი, ვ. გელეიშვილი განსახორციელებენ საბჭოთა სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილ შესანიშნავ ღონისძიებას — საბრძოლო და შრომითი დიდების ქალაქებში ლაშქრობას მარშრუტით: თბილისი-ბაქო-დერბენტი - მახაჩყალა-ასტრახანი - ვოლგოგრადი-დონის როსტოვი-ეისკი-ქერჩი-ნოვოროსიისკი-ტუაფსე - სოჭი-სოხუმი - ფოთი-ბათუმი - თბილისი, რაც ითავა თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რეპუბლიკურ კომიტეტთან და დოსაფის საქალაქო კომიტეტთან ერთად.

ლაშქრობის მონაწილენი გზადაგზა შეისწავლიან ამ ქალაქების რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს; შეხვდებიან დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, ახალგაზრდებს; გამოიკვლევენ უცნობ ჯარისკაცთა საფლავებს, წაიკითხავენ ლექციებს საქართველოზე.

ლაშქრობა ორ თვეს გასტანს.

სურათებზე: ზემოთ ლაშქრობის მონაწილენი; ქვემოთ — გაცილება.

ფოტო ბ. ბამენსკისა.

„ბედის სასჯელი?!“

„აღთქმული მიწის“ ძებნაში

ადამიანი ჩვენი სიცოცხლის ნაწილია, სიცოცხლესავით განუყოფელი, შეუცვლელი და ფასდაუდებელი.

სამწუხაროდ, ხშირად ამას მაშინღა ვხვდებით, როცა ვკარგავთ მას და მისდამი ნაზი და უშფოთველი სიყვარული დარდად და ტკივილად გვექცევა.

არა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ცხოვრებამ ასეთი მკაცრი გამოცდა მოგვიწყოს! განა უამისოდ არ შეგვიძლია ვისწავლოთ და ვიცოდეთ სამშობლოს სიყვარული?!

ოღონდაც რომ შეგვიძლია, მაგრამ ცხოვრება რთულია, და არავინ უწყის, ვის სად გადაუბრწყდება ფები და შეცდომებისაგანაც დაზღვეული არავინ არ არის.

ეს მართლაც დიდი შეცდომა იყო. ყველაზე დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა, რომელიც კი ოდესმე დაუშვია ცხოვრებაში ბენედიქტა (ვალია) ფყავზარაძეს. სამი წელი გავიდა მას შემდეგ და ჯერაც ვერ მოსულა გონს: რამ აფიქრებინა, როგორ გადაწყვიტა საქართველოდან ისრაელში გადასახლება? მყუდრო ოჯახი ჰქონდა, ორი შვილი, მოსიყვარულე ქმარი, მოხუცი დედა... რა უნდოდა, სად მიდიოდა, რას ეძებდა? ყველაფერი იმ მითქმა-მოთქმის ბრალი იყო, მის მორწმუნე დედას გზაკვალი რომ აურია, ისიც მოხუცს აჰყვა. იქით ისრაელში მყოფი ბიძები — დედის ძმები შეუჩნდნენ, წერილს წერილზე სწერდნენ დას, წამოიყვანე შვილები და ჩამოდიო. მერე ვიზაც გამოუგზავნეს. ვალიამ არ გაუტეხა სათი დედას (!), მიატოვა ქმარი, წაიყვანა შვილები და წავიდა.

უმძიმდა კი. გასამგზავრებლად რომ ემზადებოდა, გულზე რაღაც ლოდივით შემოწყვა. ძნელი იყო სამშობლო ქვეყნის, მშობლიური ქალაქის დატოვება, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც მახლობლები და მეგობრები ჰყავდა. პირველად ეგონა, უბრალოდ გული სწყდებოდა და ნაღველი მალე გადაუვლიდა. მაგრამ დადგა თუ არა ფეხი უცხო მიწაზე, მიხვდა, რომ ამ დარდს ვერასოდეს ვერ მოინელებდა და ვერც ამ დაფიქრებელ ნაბიჯს აპატიებდა თავის თავს.

ისრაელიდან გამოგზავნილი მისი პირველივე წერილები მოწმობენ, რომ იგი უმალვე მიხვდა, თუ რა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ამის გამო კიცხავს არა მარტო თავის თავს, არამედ საყვედურს უთვლის ყველა მახლობელსაც, ვინც მტკიცედ არ აღუდგა წინ, ხელი არ შეუშალა თავისი უგუნური გადაწყვეტილების შესრულებაში.

„რამიზ!, — მე მკაცრად დამსაჯა ბედმა ჩემი შეცდომისათვის, — სწერს იგი მეუღლეს, — მაგრამ თუ ახლა შენც უჩვენოდ გიმძიმს და თავს ცუდად გრძნობ, ამას მარტო მე ნუ დამაბრალებ, შენც დამნაშავე ხარ. შენ ერთობ იოლად შეგველიე ჩვენ — მეც და ჩვენს გოგონასაც...

რამიზ! შენი შვილი მაინც შეიბრალე, წაიყვანე შინ. ახლა მე თანახმა ვარ მარტო ის გაგატანო, ჩემთვის ყველაფერი დამთავრებულია, ის მაინც გადაარჩინე, ავად არის, სუსტია, დამეღუპება აქ...

გთხოვ ნუ დაიზარებ, ბავშვის გულისათვის გააკეთე ყველაფერი, რაც საჭიროა — იქნებ როგორმე მოახერხო ვიზა მისი საბჭოთა კავშირში დასაბრუნებლად... გევედრები დაივიწყე ყველაფერი, თუ რამე ცუდი გახსოვს ჩემგან და გადაარჩინე ბავშვი“.

დარდითა და ცრემლით არის სავსე ვალიას სხვა წერილებიც. იგი უჩივის მარტოობასა და უთვისტომობას. იწერება გაჭირვებასა და მიუსაფრობაზე. დიდხანს უმშვევარი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, სამუშაო იშოვნა, მაგრამ მიღებული ხელფასის უდიდესი ნაწილი ბინის ქირას და სხვა დადასახადებს უნდება.

„გიჟივით დავდივარ, — სწერს გამწარებული ქალი ქმარს სხვა წერილში, — ალარც სიცოცხლე შემიძლია, არც სიკვდილის უფლება მაქვს. რამიზ, მიშველე რამე, გადამირჩინე ბავშვები. ისინი აქ სიღარიბესა და არაადამიანურ პირობებში იზრდებიან, ბოლოს კი ალბათ ისრაელის ჯარისკაცებად წასვლა მოუწევთ არაბების წინააღმდეგ, ბევრი რუსი (იგულისხმება რუსი ებრაელები) დაიღუპა ამ ომში. მერე და რისთვის? იმისათვის, რომ მილიონერებს მეტი შვილები ჰყავდეთ. უბრალო ადამიანისათვის კი აქ დაღუპვა გარდუვალია... უკვე ტირილიც არ შემიძლია, ცრემლი გამიშრა“.

აქ მოთხრობილი ამბავი ერთი ეპიზოდია იმ ნაღვლიანი ისტორიისა, ზოგიერთ ებრაელ ოჯახს რომ გადახდა, რომლებიც უცხოელი აგენტების ცრუ პროპაგანდას აჰყვნენ და საბჭოთა კავშირიდან ისრაელში გადასახლდნენ.

ახლა ისინი მწარედ ნანობენ. მახლობლებისა და ნათესავებისათვის გამოგზავნილ წერილებში დასტირიან თავიანთ ბედს. სასოწარკვეთილებაში ჩაგარდნილნი შვილასა და დახმარებას ითხოვენ, რომ როგორმე დაბრუნდნენ საბჭოთა ქვეყანაში. როგორც ამ წერილებიდან ჩანს, უმრავლესობა დიდ გაჭირვებას განიცდის, არა აქვს შესაფერი ბინა და სამუშაო, არა ჩანს უზრუნველყოფილი სიბერე და ბედნიერი მომავალი ბავშვებისათვის.

თბილისელი მოსე ხარლაფი 1966 წელს გამგზავრა ისრაელში სამუდამოდ საცხოვრებლად. 45 წლის წინათ პალესტინაში გადასახლებული დაძმების უნახავობა მოიმიზეზა, მომანატრნო. სინამდვილეში კი გაბიოყვდა მოხუცი: იმედი ჰქონდა ნამდვილ სამშობლოს იპოვნიდა ისრაელში.

არ გაუმართლდა იმედი. ჩასულისთანავე მიხვდა, რომ იმ ქვეყანაში არ ეცხოვრებოდა. იქ ვერაფერი იპოვნა მშობლიური და მახლობელი. დვიძლი და-ძმანიც კი უცხონი და შორეულნი გამხდარიყვნენ, თითქმის გამქრალიყო ნათესაური გრძნობა.

გამწარებულმა და გაუბედურებულმა მოხუცმა კვლავ შინ — საბჭოთა კავშირში, თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა, სადაც მშობლიური გარემო, მეგობრები, მახლობლები და ნათესავები ეგულებოდა.

„გთხოვთ ნება დამრთოთ დავბრუნდე საბჭოთა კავშირში, — წერდა იგი განცხადებაში, — რათა შესაძლებლობა მომეცეს ვიცხოვრო ისე, როგორც ამერიკაში: ზოგი ძალიან მდიდარია, ზოგიც ქუჩაში დგას და მოწყალებას თხოულობს. ადამიანმა იქ უნდა იცხოვროს, სადაც მუდმივი სამუშაო და უზრუველყოფილი სიბერე აქვს, ხვალინდელი დღის შიში არ აწუხებს“.

ძნელია ცხოვრების თავიდან დაწყება, უბინაობა, უმუშევრობა. მაგრამ ისინიც კი, ვისაც სამუშაო მისცეს და ასე თუ ისე შედარებით უკეთ მოეწყვნენ, უკმაყოფილო არიან.

1967 წელს მთელი ოჯახით გადასახლდა ისრაელში ფ. მენდელევიჩი — ცოლი და ქმარი ორი შვილით. დედაქალაქში დასახლდნენ. მისცეს ბინაც და სამუშაოც. ბავშვები სწავლობენ, თითქოს უკმაყოფილების მიზეზი არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ადამიანს ბედნიერებას განა მარტო მატერიალური უზრუნველყოფა ანიჭებს! აი ამონაწერი ფ. მენდელევიჩის მიერ თბილისში ასლო ნათესავისათვის გამოგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან:

„მერწმუნეთ, მეტად მტკივნეულად განვიცდი თქვენთან სიშორეს. მაგრამ არ მინდა ჩემი მიზეზით ცხოვრება გაიფუჭოთ. ყველაფერი კარგად მოიფიქრეთ, განსაკუთრებულ და ისე მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება. ჩვენი აქ ცხოვრების ორი წლის გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ გადმოსახლებულთა 90-95 პროცენტი უკმაყოფილოა. ზოგი მატერიალური მდგომარეობით, უმრავლესობა კი მორალურად, რაც ყველაზე საშინელია... ადრე ეს ჩვენ არ გვესმოდა. დამიჯერეთ დღედაღამ თქვენზე ვფიქრობ, ჩამოხვიდეთ თუ არა... სჯობს თქვენ თვითონ გადაწყვიტოთ. ამიტომ გწერთ ყოველივე ამას“.

კითხულობთ ამ წერილებს და გული სევდით გეგსებათ. აი როგორ შეიძლება მთელი ცხოვრება აურიოს ადამიანს ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ისრაელი „წმიდა“ მიწაზე დათქმული სამოთხე არ დახვდათ ან გზააბნეულ ადამიანებს. მთავარი ის არის, რომ ადგილი ვერ იპოვნეს, უთვისტომოდ, უთავისიანოდ დარჩნენ იმ ქვეყანაში, რომელიც ნამდვილ სამშობლოდ ესახებოდათ. აუტანლად მძიმე აღმოჩნდა ცხოვრება უცხო გარემოში, უცხოთა შორის, სადაც სულ სხვა ზნე-ჩვეულებანი, ცხოვრების სულ სხვა წესია.

მერე და რას აიძულათ ამ ყოფაში ჩაეგდოთ თავი? რამ აიძულათ სამშობლო ქვეყანა მიეტოვებინათ, გადასვლოდნენ ყველაზე და უცხოთა შორის ცხოვრების სიმწარე ეწვნიათ?

რა თქმა უნდა, ამის ნამდვილი მიზეზი არა ჰქონიათ. ილუზიებს აჰყვნენ და თვითონვე მოისურვეს ასე.

სხვა არ იყოს რა, სამშობლო მარტო მიწა ხომ არ არის! მიწას ქვეყნად და სამშობლოდ ადამიანები აქცევენ.

ხალხთა მიგრაცია ისტორიული ფაქტია და რელიგიური ფანატიზმით გაჟღენთილი კლერიკალებისა და ნაციონალისტ-სიონისტების ქადაგებას რომ ავყვეთ, დღეს დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების დიდ უმრავლესობას სამშობლოს გარეთ, სხვა ქვეყნებში და სხვა კონტინენტებზე მოუხდებოდა ახალი სამშობლოს ძებნა.

თვით პალესტინაშიც ხომ ისრაელის რჯულის ხალხი ეგვიპტიდან არის მოსული.

თუმცა ასე შორს წასვლა რათ გვინდა! დღეს ხომ შეეკვსენ კლასის მოსწავლეშაც იცის, რომ ამერიკის კონტინენტზე ამ ხუთიოდე საუკუნის წინათ არ არსებობდა არც ერთი ახლანდელი სახელმწიფო და არც ის ხალხები, შემდეგ ცალცალკე ეროვნებებად რომ ჩამოყალიბდნენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა. ევროპიდან არის გადასახლებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ და ბევრ ამერიკულ ოჯახში დღემდე შენახულია არა მარტო გადმოცემები თავიანთ ევროპელ წინაპრებზე, არამედ ძვირფასი რელიკვიებიც — სურათები, ნივთები და სხვ.

რა მოხდებოდა, ამერიკის კონტინენტის ხალხებს — ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრთ, კანადელებს, არგენტინელებს, მექსიკელებს — ახლა კვლავ ევროპაში მამა-პაპათა ნაფუძარზე რომ დაეწყოთ სამშობლოს ძებნა?!

ამის წარმოდგენა თვით იმ ყველაზე მძვინვარე ნაციონალისტ-სიონისტებსაც კი გაუძნელდებათ, ასე თავგამოდებით რომ ქადაგებენ მთელი მსოფლიოს ებრაელების ისრაელში გადასახლებას.

თუმცა ამას რა დიდი მტკიცება, რა ლარი და ხაზი უნდა. განა ისეც ცხადი არ არის, რომ შენი სამშობლო ის არის, სადაც დაბადებულხარ და გაზრდილხარ, სადაც მამა-პაპათა საფლავები გეგულვის, და რა წარმოშობისაც უნდა იყოს შენი წინაპრები, როგორ შეიძლება მთელი სისხლით და ხორცით არ ეკუთვნოდე იმ ხალხს, ვის გვერდითაც საუკუნეთა ქარტეხილები გამოგვლია ჭირსა და ლხინში, ვისი საზიარო გაქვს არა მარტო მიწაწყალი, არამედ დედაენაც, კულტურაც, ზნე-ჩვეულებანიც, და ბუნებას იმდენი უქნია, დროთა ვითარებაში იერითაც ერთმანეთისთვის დაუმსგავსებიხართ.

და თუ ათასში ერთი მაინც გამოერევა რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებული და ყოველივე ეს არაფრად მიაჩნია, თუ არის ისეთი, ვისთვისაც მიწა, რომელიც ოც საუკუნეზე მეტია კვეშავს მას, სამშობლოდ ვერ იქცა. მისთვის ის არც არის სამშობლოს ღირსი და ნურავის გაუკვირდება, თუ ასეთი კაცი მარტოდმარტო, უთვისტომოდ და ეულად დარჩეს ამ ქვეყანაზე.

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელებს აქვთ სამშობლო და მათ სხვა მიწაწყალზე არ სჭირდებათ მეორე სამშობლოს ძებნა. ეს უცხოთის აგენტებმაც კარგად იციან და რა ხრიკებს არ იგონებენ, რა ღონეს არ ხმარობენ, რომ საბჭოთა მოქალაქენი მოატყუონ და გადაიბირონ.

გასულ ზაფხულს სამტრედიის რაიონის დაბა კულაშში მცხოვრები ებრაელების სახელზე უცხოთიდან მოვიდა ასამდე ამანათი, რომლებშიც მეტწილად ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმელი იყო. მახლობლისაგან კეთილი გულით მოძღვნილი მცირე საჩუქარიც სასიხარულოა. მაგრამ ადრესატებმა ვერ გაიგეს, ვისგან მოუვიდათ ეს ამანათები, საფოსტო ნიშნები და თვით ნივთებზე მიკერებული იარლიყები ინგლისური იყო. მაგრამ ინგლისში რომ არავინა ჰყავთ ნაცნობი და მეგობარი? როდის იყო უცნობი უცნობს ინგლისიდან საქართველოში საჩუქარს უგზავნიდა!

ბოლოს, როგორც გამოირკვა, ამანათები ლონდონიდან კერძო კომპანია „დინერშანის“ მიერ იყო გამოგზავნილი ისრაელში ახალჩასახლებული ებრაელების სახელით — ჩვენ ასე და ასე მდიდრულად ვცხოვრობთ, თავზე გადავგდის და ცოტა რამ თქვენც გიწილადეთო.

განაწყენებულმა და შეურაცხყოფილმა კულაშელებმა, ვის სახელზეც ეს ამანათებია გამოგზავნილი, პროტესტი განაცხადეს. ჩვენს ხელთ არის რამდენიმე მათგანის — გ. მოშიაშვილის, რ. თეთრუაშვილის, ბ. მისელაშვილის, მ. ელიაშვილის, ს. ბოთერაშვილის განცხადებები, რომლებშიც ისინი თავიანთ გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოთქვამენ და უარს აცხადებენ შემდგომში ასეთი ამანათების მიღებაზე.

ეს მართლაც საბჭოთა ადამიანების აბუჩად აგდებაა. აი რა იაფფასიანი ხერხებით ცდილობენ უცხოელი რეაქციონერები ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ებრაელების გაბრიყვებას. რა გულუბრყვილობაა! თავისი ქვეყნის ნამდვილი მოქალაქე და პატრიოტი განა სამშობლოს ძონძებში გაცვლის?!

სამშობლო ადამიანს სიეოცხლესთან ერთად ეძლევა, როგორც სუნთქვა, როგორც გულისძგერა. იგი ჩვენი სიცოცხლის ნაწილია, სიცოცხლესავით განუყოფელი, შეუცვლელი და ფასდაუდებელი. თუ ეს იცი და ამ რწმენით ცხოვრობ, არასოდეს ქვეყნად მარტო არ დარჩები, შენს სიმშვიდესა და ბედნიერებას ვერასოდეს ვერ შელახავს უთვისტომობისა და მიუსაფრობის გრძნობა.

მ. მიქაძე.

ტელევიზია

7 მაისი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა — „გვიდების ტბა“, 12.00 — საუბილეო კინოკრანი“ მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში“ (პირველი და მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მოსწავლეთათვის. კონცერტი, 18.40 — რადიოს დღე, 18.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „მიტოვებული ყურმილი“, 19.00 — ხალხური შემოქმედების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი — საქართველოს სსრ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 20.30 — სატელევიზიო მრავალსერი